სამკურნალო ღონისძიებები ტყვიის ტოქსიური ზემოქმედების გამოვლენისა და მართვის სახელმწიფო პროტოკოლის მიხედვით

0-5 მკგ/დლ.

1) არ საჭიროებს თერაპიურ ღონისძიებებს.
2) განმეორებითი კვლევა 3-6 თვის ვადაში.

5 – 9.99 მკგ/დლ.

1) განმეორებითი ტყვიის კვლევა 30 დღის ვადაში.

2) დამატებით ლაბორატორიული კვლევები: ა) სისხლის საერთო ანალიზი.ბ)ფერიტინი. გ) C-რეაქტიული ცილა.

2) რკინის, კალციუმის და მულტივიტამინების შემცველი პრეპარატები.

3) კვებითი სტატუსისა და გლობალური განვითარების შეფასება.

10-34.9 მკგ/დლ.

1) დამატებით ლაბორატორიული კვლევები: ა) სისხლის საერთო ანალიზი, ბ) ფერიტინი, გ) C - რეაქტიული ცილა.

2)რკინის, კალციუმის და მულტივიტამინების შემცველი პრეპარატები.
3)კვებითი სტატუსისა და გლობალური განვითარების შეფასება.
4)ტყვიის განმეორებითი კვლევა 1-4 კვირის ვადაში.

35-59.9 მკგ/დლ.

1) ექსპერტ-ტოქსიკოლოგის კონსულტაცია.
2) განმეორებითი ტესტირება ტყვიაზე 48სთ-ში.
3) დამატებით ლაბორატორიული კვლევები - ა) სისხლის საერთო ანალიზი. ბ) ფერიტინი.გ) C - რეაქტიული ცილა. დ) რკინა სისხლში. ე) ჰემატინი შარდში. ვ) მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია.